Out-of -school educational establishment - the municipal center of social security, civic learning and esthetic development for Terjola youth - pupils.
Digitally signed by Out-of - school educational establishment - the municipal center of social security, civic learning and esthetic development for Terjola youth - pupils.
Date: 2019.11.06 15:29:39 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
საქონლის მიწოდებაზე N58
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თერჯოლა **6 ნოემბერი 2019 წ.**

ერთი მხრივ, სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - ა.(ა)ი.პ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, ს/კ 231949407 იურიდიული მისამართი: თერჯოლა, კოსტავას ქ.№4, დირექტორის რუსუდან კოვზირიძის, შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველად'', და მეორეს მხრივ შპს ,,ორგსერვისი'', ს/კ:212693851 იურიდიული მისამართი: ქუთაისი. ჭავჭავაძის ქ. #51/2ა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით, შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებლად'', ერთად წოდებული ,,მხარეები'', ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომში- ,,ხელშეკრულება'')- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება''- ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ ,,მიმწოდებლის'' მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი'' (შემდგომში -,,შემსყიდველი'') -ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 ,,მიმწოდებელი''- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება''- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი (ობიექტი).

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ,,შემსყიდველის'' მიერ **კატრიჯების** შესყიდვა დანართი №1 ში მითითებული დასახელებების შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა მოცემულია დანართი №1 ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 კლასიფიკატორის კოდი:

CPV- 30125100 - ტონერიანი კარტრიჯები.

2.4 შესაბამისად შემსყიდველი ავალებს და მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს მოახდინოს თავისი სახელით იურიდიული და სხვა მოქმედებები საქონლის შემსყიდველისათვის მისაწოდებლად. შემსყიდველი ვალდებულებას იღებს გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და დამატებითი პირობა:

3.1 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

3.2 მისაწოდებელი საქონლის ფასი ითვალისწინებს ფასდაკლებას 5%-ის ოდენობით, სრულ ასორტიმენტზე.

3.3 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **200 (ორასი)** ლარს (თანმდევი ხარჯების ჩათვლით).

4. მიწოდების ადგილი და პირობები:

4.1 საქონლის მიწოდების ადგილია: მისამართი: ქ. ქუთაისი. ჭავჭავაძის ქ. #51/2ა,

4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს 10 დღის ვადაში, ყველა საჭირო დოკუმენტაციის თანხლებით.

5. ანგარიშსწორების პირობები:

5.1 საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება სასაქონლო ზედნადებისა და სხვა დოკუმენტაციის გაფორმებიდან **15 სამუშაო დღეში.**

5.2 ანგარიშსწორება იწარმოებს **უნაღდო** ანგარიშსწორებით ლარებში.

6. მხარეთა ვალდებულებები:

6.1 მიმწოდებლის ვალდებულებები:

6.1.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

6.1.2 მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი: მიღება-ჩაბარების აქტი და სასაქონლო ზედნადები.

6.1.3 თუკი მიწოდებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი, გამოწვეული არა შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს ნივთი თავისი ხარჯით.

6.2 შემსყიდველის ვალდებულებები:

6.2.1 შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი თანმხლები დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების შესაბამისად;

6.2.2 მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მისი დასახელება, რაოდენობა და ხარისხი.

6.2.3 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა:

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ს ოდენობით.

7.4 ერთ მხარეს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მხარეს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან;

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა მომსახურეობის ვადის დასრულებას აღემატება ერთი თვით.

8.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს **2019 წლის 17 დეკემბრამდე.**

9. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა:

9.1 თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება, რის შესახებ 2 დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

9.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

10. ფორს-მაჟორი:

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიან ან ნაწილობრივ შესრულების პასუხისმგებლობიდან დაუძლეველი ძალების არსებობის (ფორს-მაჟორი) შემთხვევაში, როგორიცაა: სტიქიური უბედურება, ხანძარი, წყალდიდობა, აჯანყება, მიწისძვრა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, გაფიცვა და სახელმწიფო ორგანოების ნორმატული მითითება, რომლებიც აუცილებელია ერთ-ერთი მხარისათვის, წარმოიშვა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ და მოქმედებს ვალდებულებათა შესრულებაზე.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10.3 დაუძლეველი ძალის წარმოშობის შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ამ ძალის მოქმედების მთელი პერიოდით. აღნიშნულის გამო ვალდებულებების ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შეუსრულებლობის დროს თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხუთ დღეში მოახდინოს შესრულებული მომსახურების ანაზღაურება.

11. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი:

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.2 იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. დავის განხილვის წესი:

13.1 ყველა უთანხმოება, რომელიც ამ ხელშეკრულების ფარგლებში წარმოიშობა მხარეებს შორის წყდება ურთიერთმოლაპარაკებით.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს.

14. სხვა პირობები:

14.1 ამ ხელშეკრულების ყველა დამატებები ან ცვლილებები ძალაშია, თუ ისინი გაფორმებულია წერილობით და მას ხელს აწერენ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლები. ამ ხელშეკრულების ყველა დანართი არის მისი განუყოფელი ნაწილი.

14.2 აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ინახება „შემსყიდველთან“ ხოლო მეორე „მიმწოდებელთან“.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“:

სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი
იურიდ. მისამართი: თერჯოლა კოსტავას ქ №4
ფაქტიური მისამართი: თერჯოლა შოთაძის ქ №3
ს/კ 231949407 ანგარიშსწორების ანგარიში:
GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
დირექტორი: **რ**უსუდან კოვზირიძე

Rusudan Kovziridze
Digitally signed by Rusudan Kovziridze
Date: 2019.11.06 15:30:15 +04'00'

„<u>მიმწოდებელი</u>“:

შპს „ორგსერვისი“
ს/კ: N 212 693 851,
მის/იურ: ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. N51/2ა,
ტელ: 0431 27 05 78
სს. „ბანკი ქართუ“, CRTUGE22,
GE27CR0000000435453602
დირექტორი: ხვიჩა ნემსაძე

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:
ტონერიანი კარტრიჯები

№	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	კარტრიჯი asta CB435/CE285A ლაზერული პრინტერისათვის	ცალი	3	25	75
2	კარტრიჯი CF283A ლაზერული პრინტერისათვის	ცალი	3	25	75
3	კარტრიჯი asta CE278A/728, ლაზერული პრინტერისათვის	ცალი	2	25	50
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით					**200.00**

„შემსყიდველი“:

სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი
იურიდ. მისამართი: თერჯოლა კოსტავას ქ №4
ფაქტიური მისამართი: თერჯოლა შოთაძის ქ №3
ს/კ 231949407 ანგარიშსწორების ანგარიში:
GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
დირექტორი: რუსუდან კოვზირიძე

Rusudan Kovziridze
Digitally signed by Rusudan Kovziridze
Date: 2019.11.06 15:30:37 +04'00'

„<u>მიმწოდებელი</u>“:

შპს „ორგსერვისი“
ს/კ: N 212 693 851,
მის/იურ: ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. N51/2ა,
ტელ: 0431 27 05 78
სს. „ბანკი ქართუ“, CRTUGE22,
GE27CR0000000435453602
დირექტორი: ხვიჩა ნემსაძე